

1935.



# ქვემოთბარე



N 4

19 სანკადობანი 35

651

4



# ოქტობრელი

№ 4

აპრილი 1935 წ.

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და საქ. განსახორმის ერთთვიური ჟურნალი

მისამართი: კიროვის ქ. № 7

## შინაარსი

1. მოცეკავე — გიორგი კაჭიანიძისა . . . . .	1
2. ყანების ოჯახი — ბორის ჩეიძისა . . . . .	2
3. სურათი — გიორგი კალანდაძისა . . . . .	6
4. პასუხი შენიშვნაზე — ალ. ბილაწიშვილისა . . . . .	6
5. ყავარჯენი — ლავრ. კიქინაძისა . . . . .	7
6. ცელქი მეგობრები — დ. ბერიკაშვილისა . . . . .	10
7. იანგუ — იოსებ ლაცაბიძისა . . . . .	11
8. ძერა — ვალია კუპრაძისა . . . . .	13
9. გზაღებული სოფლად — მიშქარაძისა . . . . .	14
10. კახეთის ღამე — ვახტანგ პეტრიაშვილისა . . . . .	14
11. მატარებელი № 52 — დავ. შამათავასი . . . . .	15
12. ვარანი — თარგმ. შ. თ - ლის მიერ . . . . .	17
ქურნალ. ილუსტრაციები და ყდა — მარინე თარიშვილისა.	

სარედაქციო კოლეგია: ლიდა ბასვიანი, გიორგი ქაჭახიძე (პ-მე. რედაქტორი), ან. ღმინიაშვილი, შალვა თაბუჯაშვილი, ცმპიტნი, ნად. საბახტარაშვილი, სანდრო შლენტი (პ-მე. მდივანი).



# მოსაქვავა

დიდი კლუბის დიდ სცენაზე  
კობტა ტახი დაგვანახე.  
ჩოხა გეცვა, ამართლებდი  
მოცეკვავე ბავშვის სახელს.

არ გიცნობდი საქებარ ბიჭს  
და პირველად გნახე მაშინ,  
მომხიბლვე და, როგორც დიდებს,  
დაგიკარი ბევრჯერ ტაში.

ეშხის მქონე ვაჟიკაც გავფი,  
გაღვენებდი გრძნობით თვალეებს  
და ენატრობდი: დასასრული  
არ მქონოდა ცეკვას მალე.

კარგი იყავ იმ დღეს, კარგი,  
გილიმოდა მთელი სახე...  
შენი ნაზი ტანის რხევა  
აცვიფრებდა ყველა მნახველს!

ერთი ცეკვა ვინ გაკმარა!  
არ გაძლევდენ ტაშით საშველს...

შენც რატომღაც ვერ უტეხდი  
ხათრს მხიარულ სკოლის ბავშვებს.


კულისიდან გამორბოდი,  
აცოცხლებდი სცენას ისევ,  
მკლავებს შლიდი და იქერდი  
მოხდენილად მხრებს და კისერს.

მითხრეს: — ცეკვავს, ბევრგან ცეკვავს,  
უყვარს ტანის კობტად ჭერა;  
უყვარს წიგნიც, გაკვეთილი,  
რვეულებში სუფთად წერა.

სიხარული ვიგრძნე მეტი,  
გულმაც გრძნობით რაღაც მითხრა...  
და როდესაც სცენას მოსწყდი,—  
მე ფიქრებში დავრჩი დიდხანს...

კარგი იყავ იმ დღეს, კარგი,  
გილიმოდა მთელი სახე...  
შენი ნაზი ტანის რხევა  
აცვიფრებდა ყველა მნახველს!

ვილარი კაჭახიძე





# ყანჩების ოჯახი

## მსუნაგი ღათვი\*)

მიიწურა ივლისი. მინდვრად ჰირნახული გაკრეს. მწყემსებმა საქონელი მთის საძოვრებიდან სოფლად გარეკეს. ცხვრის ჩამორეკას შორი საძოვრებიდან ჯერ კიდევ ბევრი უკლდა. იმ არემარეში შევლი და ირემი ცოტა იყო. ბევრიც რომ ყოფილიყო, დავითსა და დარიკოს მათი დევნა არ უყვარდათ: შეველსა და ირემს ისეთი მოქხილი და მარდი მუხლი აქვთ, რომ სანამ დავითი და დარიკო თავის ბანჯგელიან თათს ერთხელ მოიქნევენ, შეველსა და ირემს ცხრა მთა აქვთ გადავლილი.

ტურები სოფლის მახლობელ ჯაგვებსა და ბუჩქნარებში ბინადრობენ. მგლები მთაში გახიზნულან ცხვრის ფარების მახლობლად. თრიები ხის წვეროდან ძირს არ ჩამოდიან. მელები?

ამას ნულარ იკითხავთ.

დავითსა და დარიკოს ისინი ჰირივით სძულთ. ბრძოლაში ერთხელაც ვერ მოიგდეს თათებში და ეშმაკობაში ერთხელაც ვერ მოუგეს.

რალა დარჩა ტყეში, რომ პატივცემულმა ოჯახმა თავი გაიტანოს?

ცხოველებიდან თითქმის არაფერი.

მცენარეებიდან კი...

ჯერ დაუშვითებელი მაქალო და პანტა, შეთვალებული ელვამაყვალი და მოცივი. დამშეული დავითი მსხლის მაქალოზე აბობლდა. ცოლშვილი ძირს დატოვა

და თვითონ მაქალო დაარხია. ბევრი ჩამოცვივდა. როცა დარწმუნდა, რომ საკმარია, თვითოხაც თავისი ცოლშვილის შუაში ხლართანი მოადინა.

ნაყოფს თათები მოუსვენეს, შეაგოოვეს. ჰამეს, რამდენიც შეეძლოთ, მაგრამ მაქალო ისეთი მჭავე და მშრალი იყო, რომ ხორხში აღარ გადადიოდა.

პატარა დათიკომ მაქალოს ხრამუნი შეწყვიტა, პროტესტის ნიშნად უკანა თათებზე შედგა, წინა თათები კი ისე ააპყრო, თითქმის ცას ემუქრებოდა.

მამას წუნია შვილზე გული მოუვიდა. თათი მოუქნია და ისეთი გაარტყა ყურის ძირში, რომ წუნია დათიკო იქვე დაენარცხა და საზარელი ღრიალი მორთო.

დათიკოს ბოხვერამაც მისცა მხარი.

ისიც აღრიალდა. გაბრაზებული მამა ახლა ბოხვერას მივარდა, პირი კისერში ჩაავლო, დათიკოსთან ახლოს მიათრია და ცხვირი მკვანებ მაქალოს გროვაში ჩააკვრევინა. არაფერი გეტკინოსთ, ბოხვერამ ღრიალს უფრო მოუმატა და მაქალოს პირიც არ დააკარა.

დავითი მთლად გაცოფდა, ახლა ორივე ვაჟიშვილი ერთად მოიმწყვდია ტორებში, ზვეიდან შედგა და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ბეგვა დაუწყო, ვაჟები საზარლად აღრიალდენ.

მაგრამ ტყუილად იწუნებდა თავს და ავობდა ბატონი დავითი; კბილები იმასაც საკმაოდ დაჰკვეთოდა, მაქალოს ჰამა აღარც თვითონ შეეძლო.

\*) დასასრული იხ. ჟურ. „ოქტომბრის“ № № 1-2 და 3.

მეტი რაღა გზა ჰქონდა, დავითი ცოლ-  
 შვილს წინ წაუძღვია საზოდოს საშოვნად.  
 გზადგზა ბევრი რამ გადახდათ თავს.  
 ერთ ადგილას წნორზე ყანჩების ბუდე  
 შენიშნეს. ყანჩებს ბარტყებისათვის მო-  
 ჰქონდათ თევზი და ვეფებრთელა ნაჭრებს,  
 რასაც ჯერ ერგოდენ, ძირს ისროდენ.  
 წნორის ძირას ძველი და ახალი თევზი  
 ყარა თავზე საყრელად. დავსიენენ და-  
 თვები და ხარბად სანსვლა დაუწყეს.  
 დავითს ერთი არ ესიამოვნა მხოლოდ:  
 ჩამოყრილ თევზებს ესეოდა მსხვილი და  
 წითელი ჭიანჭველა. ერთმა ჭიანჭველამ,  
 ჭამის ღროს, ენაზე უკბინა.

დავითი დათვის ბრაზიანი გულით აბუ-  
 რტყულდა. საღამოთი მუცელი ასტკივდს,  
 და ისე მწარედ ასტკივდა, რომ ქვეყნის  
 ამოყრა დარიკოზე უნდოდა. მერაუღდეს  
 კი ჩამოყრილ თევზს უფრო ფრთხილად  
 ეკიდებოდა, ნამეტურ მას შემდეგ, რაც  
 მუცელი ბელიკოსაც ასტკივდა.

— ეს კარგი მასპინძელი ვიშოვეთ. —  
 გადაწყვიტეს დათვებმა და მზამზარე-  
 ულზე უნამუსოდ ღორმუცელობდენ.

მაგრამ დათვი რისი დათვია, რომ ბო-  
 როტი განზრახვა არ მოუვიდეს თავში!  
 ყანჩებს ექვსი ფრთასუსტი ბარტყი  
 ჰყავდათ ბუდეში. თითო მათგანი ვარის



ოდნეი მაინც იქნებოდა. ქვევიდან მსუქნებიც მოჩანდნენ.

პირველად დავითმა მოინდომა ბარტყებით პირის ჩაგემოიერება, სანამ სახიფათო ნადირობაზე წავიდოდა.

ყანჩები ბრაზობდნენ, დაუპატივებელი დათვები აღარ მიდიოდნენ. ბარტყებს დაფრთხინების ვარჯიშის ალო უდგებოდათ იმათი ბუდიდან წნორის ველზე გადმოყვანა კი დელიკოსა და მამიკოს ეშიინოდათ, ბევრჯერ ცადეს დელიკომ და მამიკომ დათვების შორს გატყუება, მაგრამ ამაო; დათვები კვლავ ბრუნდებოდნენ და ძლებოდნენ თევზით.

აქ ჭიანჭველებიც გაბრაზდნენ; დათვები უნამუსოდ აცლიდნენ ლუკმას პირიდან. ფხასაც აღარ ტოვებდნენ. უნამუსო დარიკომ კი იმათ სასახლეს უბოღიშოდ გადაალოჯა და მოსვარა.

ბევრ სხვა საწყენს ესეც მიემატა და ჭიანჭველები მოულოდნელად დაესხნენ თავს დათვებს; შეუძვრენ ილიიაში, ძუძუებში, ყურებში, ნესტოებში და სულ ერთიანად დანესტრეს. დათვები კინაღამ დაცოფდნენ. ამის შემდეგ ისე ადვილად აღარ დალაჯუნებდნენ. სამაგიეროდ ჭიანჭველები მაინც დაზარალებულები აღმოჩნდნენ. გულის ჯავრის ამოყრაში, ორმოცი საუკეთესო ვეჯაკი, მშრომელი ჭიანჭველა დაიღუპა, ოცს ნესტრები დაწყვეტოდა და ოცდაათს კიდეც ფეხები დაშტეროდა.

დათვები კი იქაურობას მაინც არ ეშვებოდნენ.

ყანჩებსა და ჭიანჭველებს მოთმინება გამოეკლიათ, დადგა დრო სტუმრების ძალით გასტუმრებისა. და იმ დღესაც, როცა მასპინძლებმა ამ უკიდურეს ზომას მიმართეს, დავითი თავისი ოჯახით ჩვეულებრივ მობრძანდა თევზით გამოსაძიომად. დადარდიანებული დელიკო და მამიკოც სწორედ იმ დღეს აღარ გაფრენილან საზრდოზე. თევზი აღარ მოუტანიათ. ძირს ეყარა მოტანილი თევზების ნარჩენები. დათვებმა წნორის ძირი მოისუნსულეს, საქმელი არ გყოთ და გა-

ბრაზდნენ, აბურტყუოდნენ. დავითმა ხეს თითები შემოხვია და შებობღდა. ძირს დარია და ბელიკო დარჩნენ. დავითმა ცოტა უკლდა, ჭიანჭველების ნამაგვარს სასახლეს ზედ არ დააჯდა. სასახლე კინაღამ ნანგრევებად აქცია.

ყანჩებმა დაინახეს თუ არა დათვი, რომელიც ბობლვით მათ ბუდეს უხახლოვდებოდა, საზარლად აყვირდნენ. პატარა ყანჩაველები კი შიშისაგან აწრიპინდნენ და აწიოკდნენ. დავითი კი თითქოს აქ არაფერიაო, ზევით მიიწვედა. აი მიაღწია იმ ალაგას, საიდანაც ზევით ასულა შეუძლებელი იყო. ბორჯღებში დამაგრდა, ხეს ტოტები შემოხვია და, რაც ღონე გააჩნდა, დაარხია.

ხე საშინლად დაირხა, ბუდიდან ყანჩაველები გადმოცვივდნენ. მათ დათვიც გადმოყვა და მიწაზე დაებრეგვა.

ბარტყები გაიქცნენ, სამმა მოასწრო დამალვა, სამი კი, რომლებიც სუსტები იყვნენ, დათვებმა იქვე დაიჭირეს. დარიამ ბარტყი ჭიანჭველების სასახლესთან გაგლიჯა და სასახლე სისხლით მოსვარა.

უეცრივ, ჭიანჭველები გამოცვივდნენ სასახლის ყოველი კარიდან. დაფრიენ დათვებს ილიიებსა და ნესტოებში. საშინელი კბენა დაუწყეს.

პერშაიც ყვირილის ხმა დატრიალდა.

ყანჩებს კისრები შუბებივით დაეგრძელებოდათ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, დათვებს თვალებში სცემდნენ.

ღრიალებდნენ დათვები, მაგრამ ნადავლს თავს მაინც არ ანებებდნენ. ყანჩებმა კი თავი გაიმეტეს. მამიკო ყანჩა შორიდან გამოექანა და დავითს ჩაუქროლა. გრძელი ნისკარტი გაუქნია და თვალში მარცახივით ჩასცხო. დავითს თვალი წამოვარდა. დედა ყანჩა უარეს დღეს აყენებდა დარიასა და ბელიკოს.

აღარ იცოდნენ დათვებმა, გაშმაგებულ ჭიანჭველებს გამკლავებოდნენ, თუ გააფთრებულ ყანჩებს.

ხელფები იშვირეს და მოჰკურცხლეს. დელიკო და მამიკო ყანჩები მათ კვალდა-



კვალ მისდევდნ და ნისკარტს თვალეზში უმიზნებდნ.

როგორც იყო საშვილობოს გავიდნ. ტყეში შეაფარეს თავი. დავითს მარჯვენა თვალი აღარ ჰქონდა. ბელიკოს ორივე დაშაებოდა, ხოლო დარია ვედარცერთით ვედარ იხედებოდა.

მაშკო ყანჩა კი მინდორში დაფრინავდა და ხმამალთა უყვიროდა შავ წყალშიაღ და ტყვიის ცეცხლშიაღ გივლიათო.

მართლაც, უეცრად თოფებმა იგრიალა და დავითს შუბლი გაუგმირა. დარიას დაავიწყდა ბელიკო და უგზო უკვლოდ გადაიკაოგა.

ავები და მყრალები იყავით! გასძახოდა

მათ მამა ყანჩა, და უკულომა დატრიალდა თქვენი ბედიო.

ყანჩები ისევ დაბრუნდნ წნორთან. გადარჩენილი ბარტყეები შეაგროვეს. ბუდეში ჩასვეს. საშიში აღარ იყო ველზე დათვების შემოსევა და მეორე დილიდან დაფრენას შეუდგნ ველზე.

სამი დაღუპული შვილი გამოიგლოვეს და მათი ნეშტი შორს ქაობებში გადაიტანეს.

უწყინარი მგზობლები, ქიანქველები დიდხანს მოუნდნ დახოცილი ძმების დაკრძალვას. და შემდეგ კი სასახლის აღდგენას შეუდგნ.

ბორის ჩხეიძე



თენდება, და მზე ქარვისფერ  
სხივებს აყრის სოფელს,  
ორლობეებს ყვავილნარი  
სურნელეებას მოჰფენს.

იაგუნდი დაფრქვევია  
ათქვირებულ ტყემლებს,  
დაკრავს სიო, და ფოთლები  
ჩამოყრიან ცრემლებს.

და ბავშვივით მკვირცხლი დილა  
უხარია ხეხილს:  
ვახს კვირტები დასკდომია  
სარზე შემოგრეხილს.

მზე მიიწევს ცის ლაქვარდზე,  
ბაღჩაშიაც დაცხა,

იქ ბაბუა ქურდბაცაცებს  
აუტეხავს ცაცხანს.

დღედა ხალათს უუთოვებს  
თმახუქუქა რეზოს,  
სამხრობის ხანს რალაც ჩრდილი  
გადაუფლის ეზოს.

კრუხი ნაგავს ქეჟავს იქვე,  
ორლობესთან ახლოს,  
უნდა აღბათ შვილებისთვის  
ქიალუა ნახოს.

ჩრდილი ეზოს დაეცემა,  
კრუხი შექმნის კრიანს,  
ქორი წიწილს აიტაცებს  
და ჰაერში მიაქვს...

გიორგი კალანდაძე.

## პასუხი უენიშვნაზე

ჰა, გამოსვლის ზარიც დაკრეს,  
ახმაურდა სკოლის ეზო,  
სათამაშოდ მოემზადენ  
ოთარიკო, ილა, ბესო!

საიდანღაც ლეოც გაჩნდა,  
გადაავლო იქ მყოფთ თვალი,  
გამოიხმო ილა ცალკე  
და შემდეგში დასდო ბრალი:

„მე მგონია, არ გკირდება  
დარიგება, ჩემო ილა,  
მხოლოდ მსურს, რომ მოგაგონო  
პირობა და დისციპლინა.

თუ დაფიქრდი, მიმიხვდები,  
მიპასუხებ, მე რაც მინდა:

ბიონერის ყელსახვევი  
ვის არ დააქვს ჩვენ რაზმიდან?

მიხვდა ილა, მიხვდა კარგად,  
გაწითლდა და თითქოს შეკრთა,  
სიტყვა სადღაც დაეკარგა,  
არ იცოდა რალა ეთქვა...

ბოლოსა თქვა: მიხვდი, ლეო,  
სიტყვას გაძღვევ, დაჰკა ხელი,  
შემდგომისთვის მზად ვარ მუდამ,  
რომ ვატარო ყელსახვევი!

მეგობრულად დაჰკრეს ხელი  
(ჯიუტობა ვის რას არგებს!)  
და შემდეგ კო სათამაშოდ  
მიაშურეს ამხანაგებს.

ალ. ბილანიშვილი



1

სანდრო კარებში მკვირცხლად ვახტა. ახალი შეკერილი ხალათით ლურსმანს გამოვლო, გაიხა, და ბავშვმა ღრიალი დაიწყო; მხიარული სახე ერთ წუთში შეეცვალა. მის ლაქდაჟა ლოყებზე ცერის სიმსხო ცრემლები ჩამოგორდა.

— რა იყო, შეილო, რა მოგივიდა? — გაისმა დედის ხმა.

დედის ხმაზე ტირილს უფრო მოუმატა. ისევ შინ შევიდა. ცალი ხელი დახეულ ხალათზე ჰქონდა მიფარებული, მეორეს კი თვალებში ისვამდა.

— ხალათი დამეხა...

დედამ ძლივს გაარკვია ლუღლუღით წარმოთქმული სიტყვები.

— მერე ამოდენა, უნდა იტირო შენოდენა კაცმა?

— ახალი ხალათი იყო, — ახლა უფრო ხმამაღლა გაიმეორა ზღუქუნით.

— ნუ სტირი, შეილო, ამას ვაგვეკრავ, კიდევ გიყიდი ახალ ხალათს. წყნარად უნდა იარო.

ნელნელა მშვიდდებოდა ბავშვი...

ჩანთა იმ გვერდზე დაეკიდა, საითაც ხალათი იყო დახეული.

ამხანაგებმა სკოლაში მისვლისთანავე მიაძახეს:

— ოო, ახალი ხალათი, ახალი ხალათი შეუკერავს!

სანდრო არაფერს ამბობდა, ჩანთაზე იდაყუს აჭერდა, რომ ბავშვებს ხელი არ გაეკრათ და ვახეული ხალათი არ გამოჩენილიყო. იგი მთელი დღე წყნარად იყო სკოლაში. ამხანაგები სიცილით იმეორებდნენ:

ახალი ხალათი აცვია, აღარ გვეკადრულობსო. მათ სანდროს გაბუტვის მიზეზი ვერ გაიგეს.

შინ რომ მივიდა, ჩანთა მოიხსნა და დახეულ ხალათს უფრო დაკვირვებით დააკვირდა. დედამაც შეამჩნია.

— კარგი, შეილო, ხუ გადაყვეი მაგ ხალათს!



სანდრო ნასადილევს წიგნს მიუჯდა, კითხვა დაიწყო, მაგრამ თვალი უცებ ასცდებოდა ხოლმე ქალაქზე გრძლად გაჭიმულ სტრიქონებს და ნაუცბათევად ვაკერილ ადგილზე შეჩერდებოდა.

2

მამა გვიან დაბრუნდა სამსახურიდან. მთვრალი იყო, ძლივს ბარბაცებდა. აივანზე რომ ავიდა, ხმამაღლა დაიძახა:

— სადაა ჩემი სანდრო?

სიმთვრალეში შეიღწა ისე ეფერება თითქოს სულში უნდა ჩაიძვინოს, მაგრამ სანდროს არ უყვარს, ღვინის სუნი რომ ამოსდის მამას პირიდან. რამდენიმე დღის წინათ როგორ ემუდარა მამას. ვინ მოთვლის, რა არ უთხრა, და ბოლოს მა მამ პირობაც კი დადო, რომ ამის შემდეგ აღარ დათვრებოდა. მართლაც ორიოდე კვირა არ დამთვრალა და სანდროს ხალათი უყიდა.

ენლა!

შეწუხდა სანდრო.

—უთუოდ პირობა დაავიწყდა, — გაიფიქრა და არ უნდა მამასთან მისვლა, იმალება.

მთვრალი მამა ერთ ადგილზე ვერ ისვენებს. პირველ დაძახებაზე რომ არ გამოჩნდა მისი საყვარელი შვილი, მერე ჩაახველა, ხმა ამოიწმინდა, მაგრამ მაინც ჩახრინწულად გაისმა:

—სანდრო-მეთქი!

სანდრომ დამალვას გამოჩენა არჩია, ხოლო მამას რომ ექვი არ აეღო მის ახლო ყოფნაზე, გაიქცა, რამდენიმე სახლს მოეფარა და შორიდან დაიძახა:

—აქა ვარ, მამა, მოვდივარ!

—ზოდი, შვილო, ზოდი.. ზოდი, ჩემო იმედო!

მამა მისვლისთანავე გადაეხვია სანდროს. ბავშვი იტანჯებოდა, ღვინის სუნი ახრჩობდა, გულს ურევდა, მაგრამ რა უნდა ექნა, მამა ხელიდან არ უშვებდა.

—კარგი, მამა, არ მინდა ამდენი კოცნა.

—ჰაი, შე ეშმაკო, შენა! თავს როგორ ქეციანივით აქნევ? მაშ ალარ გიყვარვარ? სანდრო შეკრთა.

დაუფიქრებლად წამოიძახა:

—კი მიყვარხარ, მამა, მაგრამ, იცი, რა უნდა ვითხრა? დღეს ლურსმანმა ხალათი დამიხია. აი ეს ხალათი. მას დილანდელი ამბავი რომ მოაგონდა, კინაღამ ცრემლები გადმოსცვივდა.

მამამ უცნაურად გადინახარა.

—ასე რომ ლურსმანი მოვიდა შენთან, არა? — და თანაც გვერდულად გადახვდა შვილს.

—არა... სკოლაში რომ მივდიოდი, რაღაცნაირად კარს გამოვკარი, — წამოილაპარაკა მთრთოლოვარე ხმით.

—ჰო და ეგრე თქვი, შე კაი კაცო ხალათს კიდევ გიყვინდი!

სანდრომ გაიღიმა.

—არ მჯერა. შენ პირობას უხვევ, ისიც ხომ თქვი, ღვინოს ალარ დავლევო. აი რა ცუდი სუნი ამოგდის პირიდან, სული მეხუთება. მამა! არ მინდა ხალათი, ოღობდ მთვრალი ნუ მოხვალ.

მამას შერცხვა ბავშვის სიტყვების და არეული ენით წაილულლულა:

—აი, ეს იყოს უკანასკნელი. დახრჩვრებ შენს სიტყვას. ალარც ბევრ ღვინოს დავლევ. ფულს რომ ავიღებ, ხალათს გიყვინდი.

სანდროს ლოცვებს კიდევ შეეხო მამის ტუჩები. მერე დაწვა მამა და მაშინვე ჩაედინა.

### 3.

მამას ღვინო უყვარს, მეორეჯერ დადებული პირობაც დაარღვია. სამსახურიდან ყოველთვის მთვრალი ბრუნდებდა.

—მამა, მეც უნდა ვისწავლო ბევრი ღვინის სმა, მეც ლოთი უნდა გამოვიდე, — გააჯავრა სანდრომ, რადგან კარგათ იცოდა, რომ მამას სხვისი ლოთობა არ უყვარდა, განსაკუთრებით თავის ოჯახში მყოფის.

—არა, შვილო, ლოთობა არაა კარგი საქმე.

—კარგი თუ არაა, შენ რატომ თვრები? მამამ თავი ჩაკიდა, ამოიგმინა:

—ეხ, შვილო, მე ამისთანე დროში კი არ ვიზღებოდი! უკუღმართი დრო იყო, შევეჩვიე და რა ექნა.

შვილის სიტყვები მულამ აფიქრებდა მამას, მაგრამ თრობას მაინც ვერ გადაეჩვია.

გაზაფხულის ღრუბლიანი დილა გათენდა. იეჩნელებოდა. სანდრომ რომ გაიღვიძა, მამა სამსახურში იყო წასული. ისაუბმა. და სიხარულით გაიქცა; მათი კლასი საექსკურსიოდ მიდიოდა. სკოლის კარებთან რომ მივიდა, უცნაური წვიმა წამოვიდა.

—მე კი მოვასწარი ახლა იწვიმე, რამდენიც გინდა, ნიშნისმოგებით მიმართა ავდარს სანდრომ.

რადგან წვიმიანი დღე იყო, ექსკურსია აღარ მოუწყვათ.

შუალღემის იწვიმა. მოკირწყლულ ქუჩებზე დღელები გაჩნდა. კაცს ქუჩის ერთი ნაპირიდან მეორე მხარეზე გადასვლა უჭირდა. გაქანებულმა ავტომ უცებ გაისრიალა წყლით სავსე ქუჩაში.

წვიმა ნაშუადღევს შეწყდა.  
ტფილისსა და კოჯორს შუა ავტო-  
ბის განუწყვეტელი მოძრაობაა. ქუჩაში  
ტალახი ფაფასავით გაითქვიფა. აღარ  
წვიმს, მაგრამ ცა ისევ ღრუბლიანია, მზე  
მთელი დღე არ გამოჩნებოდა.

სანდრო სკოლიდან რომ გამოვიდა,  
კოტახანს დადგა, გაიხედამოიხედა, მე-  
რე ქუჩის მეორე კიდმდის კურდღელი-  
ვით გადაცუნცუნდა. ფეხის წვეროებს აქა  
იქ აღვამდა ქვებზე. აჩქარებული ნაბიჯით  
გაეშურა შინისკენ. მამაც ამ დროს დაბ-  
რუნებულიყო სამსახურიდან, მიდიოდა  
შუა ქუჩაში, სადაც ფაფასავით გათქვე-  
ფილი ტალახი იდგა. იგი მთვრალი იყო,  
ხან ერთ გვერდზე წაიქცეოდა და ხან  
მეორეზე.


სანდრომ ტალახში ამოსვრილი შამა  
დაინახა, შეატყო, რომ ფეხზე დგომა უჭი-  
რდა. მიიბრინა, მხარში ამოუდგა. მამამ  
ხელის შეშველება იგრძნო, მობრუნდა  
და შეიღოს ბეცივით დააკეჭერდა.

— სანდრო... სანდრო ხარ?  
— ჰო, მე ვარ. აი, იმ კიდზე გადავი-  
დეთ, იქით უფრო მშრალია.

მამა პატარა ბიჭს გაჰყვა. რცხვენოდა,  
ბავშვი რომ ასწავლიდა გზას, მაგრამ რა  
უნდა ექნა. ამ დროს თვალი მოჰკრა სა-  
მსახურის ამხანაგს. გაახსენდა, რომ ლო-  
თობის გამო სამსახურშიც იყო გაერთ-  
ხილებული. უკანასკნელი ძაღლონე მოი-  
კრება, თავი შეიმაგრა და თანაც სან-  
დროს გადაულაპარაკა:

— ახლა არა მიშავს, გამიშვი ხელი, —  
მაგრამ სანდრო მაინც არ შიორდებოდა,  
იღლიაში უდგა, თითქოს ყავარჯენი იყო.  
მამა აქეთ-იქით ირწვოდა, მაგრამ ცო-  
ცხალი ყავარჯენი მაგრად იდგა და წაქ-  
ცევისგან იფარავდა.

მეორე დღეს მამა გვიან აღდგა. ღვინო  
აღარ ეტყობოდა, მაგრამ სახეზე მწუხა-



რე იფრი სცემდა, რაღაც სტანჯავდა. ბო-  
ლოს ნაღვლიანად თქვა:

— მართლა დიდი სირცხვილია, თითის-  
ხელა ბავშვმა ხელით მომიყვანა. ქვეყა-  
ნა მხედავდა. ამას ჩემს დღეში აღარ ვი-  
ზამ.

— შენ ყოველთვის აგრე იცი, არ დაი-  
ჯერა სანდრომ, მაგრამ ამის შემდეგ  
მამა მთვრალი არასოდეს აღარ უნახავს.  
ახლა თითო ბოთლი ღვინო ხანდახან  
შოაქვს ხოლმე და ცოლშვილთან ერთად  
სვამს.

ქმაცოფილია მთელი ოჯახი.

ლაფრ. კიჭინაძე





მზე ამოდის, ღამე ბნელი  
საღრავ გაიპარა.  
ლოგინიდან წამომდგარა  
ჩვენი ცელი ვარა.

კაბა უკვე გადაიცვა  
და ისწორებს პალტოს,  
გარეთ უნდა გავიდეს და  
მეგობრები ნახოს...

მას არ უყვარს დიდხანს ძილი,  
ადრე დგება მუდამ.  
იქ ელიან სათამაშოდ  
ხბო და ჭრელი-ცუგა.

ვარაცმიდის ფეხაკრეფით,  
ეპარება მალეით,  
მაგრამ ხბომ და ჭრელმა ცუგამ  
მოჰკრეს უკვე თვალი...

გაეჩანენ მეგობრისკენ,  
მიეგებენ გზაში:



რა გინდოდა, შეე კულრაქა,  
რას ელოდი სახლში...

რახანია გელოდებით,  
თამაშობა გვსურდა,  
შენ კი ახლა გამოხვედი,  
განა ასე უნდა?


არა უშავს, გენაცვალეთ,  
მაპატიეთ ახლა,  
სხვა დროს უფრო ადრე მოვალ,  
ყოველ დილით გნახავთ.

ხოლო მარტო ეს მითხარით.  
სად გეძინათ ღამე?  
როგორა ხართ, გენაცვალეთ,  
ხომ არ გიჭირთ რამე?

ეფინება არემარეს  
სიხარულის ხმები...  
მუდამ ასე თამაშობენ  
ცელი მეგობრები.

დ. ბერიკაშვილი.





იანგუ და მამამისი ჭაობიან ადგილას იყვნენ გაჩერებულნი და დალონებულნი გასცქეროდნენ მიწის იმ პატარა ხაკვეთს, რომელზედაც აქა-იქ ბრინჯის ღეროები იყო ამოსული.

მამამ დიდხანს უყურა გავვრანებულსა და მოცდენილ ბრინჯის ყანას. შემდეგ ხმადაბლა წამოილულულა:

შვილო, იანგუ, ეს წელიწადი შიმშილით გვემუქრება.

ამ სიტყვებზე იანგუმ გაკვირებულმა შეხედა მამას.

— რათა, მამი? მამამ პასუხის ნაცვლად დატრეკილ ყანისაკენ გაიშვირა ხელი.

იანგუ დალონდა. პატარა ბიჭი დიდ ფიქრებს მიეცა. „რა უნდა ვქნათ ახლა? უბრინჯოდ ხომ შიმშილით ამოვწყდით?“ გაუელვა გულში და მამას შეხედა.

ცოტა ხნის შემდეგ მამაშვილი ხელი-ხელჩაკიდებულნი გაუდგნენ სოფლის გზას. გზაში მამას იანგუსათვის ხმა არ გაუცია. სხვა დროს კი ბევრ რამეს მოუყვებოდა ხოლმე: ზღაპრებს, პატარ-პატარა ამბებს თავისი ცხოვრებიდან.

იანგუს უყვირა მამის ასეთი საქციელი.

როდესაც მიუახლოვდნენ თავიანთ სახლს, იანგუმ შეაყვირა:

— მამი, ხედავ, პოლიციელებს ჩვენი სახლიდან ნივთები მიაქვთ!

— ბატონებო, ფულს ვიშოვივსადმე! — ეხვეწებოდა იანგუს მამა მუხლმოდრეკით პოლიციელებს.

აქამდის თავჩაღუნული მამა უცბად შეკრთა, ვაიო წამოიძახა და სახლისაკენ გაიქცა. იანგუ უკან დაედევნა.

— შემატყობინეთ, თქვენიჭირიმე, რა შუა საქმე? — უთხრა მამამ პოლიციელებს.

— ლაპარაკსაც რომ შედავს! — ჩაიბურტყუნა პოლიციის უფროსმა და მრისხანე სახით შეხედა. — გადასახადი რატომ არ დაფარე? სამშობლოს მოღალატე ხარ... შენ ციხე გამოვასწორებს.

— ორი დღე ვადა გაქვს. ნივთები კი ჩვენთან იქნება. იშოვნე ფული, მოიტანე და ნივთებს დაიბრუნებ. სულ გაწერია ორმოცდაათი იენი\*).

— რა ვქნა, სად ვიშოვო ამდენი! რომელ ერთზე ვიზრუნო: მოუსავლიანობაზე, შიმშილზე, ოჯახზე თუ გადასახადზე! ვაიმე, უბედურო თავო, ვაიმე, უბედურო შვილებო, — თავში ხელების ცემით მოთქვამდა იანგუს მამა.

საწყალი პატარა იანგუ გაფითრდა მამის ტირილზე.

— მამი, ნუ ტირი ნუ! — ეხვეწებოდა იანგუ მამას.

შვილის ხვეწვა არ ესმოდა მამას, ის ბოროტად და ღმუროდა.

\* იენი დაახლოებით ერთმანეთს უდრის.

ვერც დედის ტირილმა უშველა საქმეს.

პოლიციელებმა ყველაფერი გამოხილეს სახლიდან.

\* \*

სოფელში ხმა გავარდა: ქალაქ ტოკიოდან დიდი ქარხნის აგენტი ჩამოსულა და პატარა ბავშვებს ყიდულობსო.

ამ ხმამ იანგუს მამის გაპარტახებულ ოჯახამდისაც მიაღწია. იანგუს მამას ხომ სამი შვილი ჰყავს!

ესოზი სრული სიჩუმე იყო.

იანგუს მშობლებსაც თავები დაედუნათ და დუმდნენ.

— დედაკაცო, გადასახადი ცალკე გვაწუხებს, შიმშილი კი დევ — ცალკე მოსავალიც აღარ მოგვივიდა. მოიფიქრე რამე, ოჯახს ნუ დავდუბავთ. წადებულ ნივთებსაც ხომ დაბრუნება უნდა?!

— აბა, რა მოვიფიქროთ, — უთხრა ხარინამ ქმარს.

— რა და... მე უკვე მოვიფიქრე...

— თქვი, რა მოიფიქრე?!

— ერთ ერთი ბავში უნდა მივყიდოთ ქარხნის აგენტს.

— ა! რას ამბობ! ბავში! არა, ეს არ შეიძლება!

— მეტი გზა არ გვაქვს. განა მე კი მემეტება შვილი! არა, არ მემეტება, ხარინ! მაგრამ... რა ვქნათ, შიმშილი ცალკე გვაწუხებს, გადასახადებმა ხომ სულ გავატილა, პატარა ბავშვებსაც ხომ გაზრდა უნდათ. გაყიდული ბავშვის ფულით კი გადასახადსაც მოვიშორებთ და დანარჩენ ორ ბავშვსაც მოვუვლით.

— არა, არა, ნუ იქ მაგას! დაე, შიმშილმა შეგვაწუხოს, მაგრამ ბავშვები კი ჩვენთან იყონ!

— სხვა გზა არ არის, გაიგე?! მე უკვე მოველაპარაკე ქარხნის აგენტს.

— მოელაპარაკე?! — წამოიყვირა იანგუს დედამ. — რომელ ბავშვზე მოელაპარაკე?! მითხარი უბედურო!!

— პატარებზე უარი განაცხადა ქარხნის აგენტმა, ესენი ვერ იმუშავებენო.

— მერე? — აღელვებული შეეკითხა ხარინა.

— მერე და... იანგუსე მოველაპარაკე!

— აა! მიშველეთ!! — შეწვილა ხარინამ. — როგორ გაბედე, როგორ გაიმეტე შვილი! იანგუს, ჩემო იანგუს, შენ გენაცვალე!!

იანგუს მეზობლის ბავშვებთან თამაშობდა და დედის ტირილსა და ხმაურზე მოვიდა.

— იანგუს, შვილო!

იანგუსმ მიიბრინა დედასთან. მან არ იცოდა რაში იყო საქმე. დედა მოეხვია შვილს, ჰკოცნის, ელაპარაკება.

იანგუს კი, საწყალი პატარა იანგუს გაკვირვებული შეჰყურებს დედის ცრემლებს და მის მოქმედებას.

— შვილო, მამამ ვაგყიდა, ჩემო ბიჭიკო!

ამ სიტყვების გაგონებაზე პატარა იანგუს თმები აებურძნა.

— უისზე გამყიდა, დედი?

— ქალაქელ კაცზე, შვილო...

— დედი, გენაცვალე, მე შენთან მიწადა, სხვაგან არ წავალ! — და ამ სიტყვებით იანგუს მაგრად ჩაეხუტა დედას.

კოტა ხნის შემდეგ საბარგო ავტომობილით ჩამოიარა და გაჩერდა იანგუს მშობლების სახლთან.

ავტომობილი ოცამდის ნაყიდი პატარა ბავშვი იჯდა. ყველა ტირილი. აქეთ-იქიდან მცველები იყვნენ და თვალყურს ადევნებდნენ ბავშვებს, რომ არ გადამტაროყვენ.

— ბავშვების ღრიანცვლზე მოგროვდნენ როგორც მშობლები გაყიდული ბავშვებისა, ისე ახლომახლო მეზობლები... \*

ყველა მაყურებელი შეწუხდა ბავშვების საცოდობით. ზოგი ხმამალა ტირილი — ესენი იყვნენ გაყიდული ბავშვების მშობლები. სხვები კი გაყიდული ბავშვებისა და მათი მშობლების ტანჯვისაგან ჩუმად ტირილდნენ.

ღერეფანში ყველა ქვითინებდა: იანგუს დედა, მამა და იანგუს ორი პატარა და.

იანგუ ერთხანს გაშტერებული იღვა. თვითონაც არ იცოდა რატომ. ახლა კი მამას მიუახლოვდა. მტირალ მამას თვალეებში შეხედდა. თითქოს იანგუ მამას თვალეებით ეუბნება: მამი, ნუთუ მართლა გამყიდე, გამიმეტე, მიშორებ თავიდან? არა, მამი, შენ ამას არ იზამ, შენ მე არ გამყიდი! ან რად უნდა გამყიდიო, ჩემო მამიკო, მე ხომ ყველაფერს ვაკეთებდი სახლში, რისგაცეთებაც შემეძლო! შენ კი გასურს დამაშორო საყვარელ დედას და პატარა დებს, ნუ იზამ ამას, ნუ!

მამა ჯერ თავწაღუნული იღვა, მერე იანგუს გადახედდა. მამამ და შვილმა ერთმანეთს შეხედეს. მამამ ვეღარ მოითმინა და შეჰყვირა:

— შვილო, იანგუ, შვილო!

მამამ იანგუ ჩაიკრა გულში.

ამ ამბავზე დედაც ძალზე ატირდა.

ამ დროს ეზოში შემოვიდა ქარხნის აგენტი, იანგუს მამა გამოიძახა, ქალაქ-დზე ხელი მოაწერინა და უთხრა იანგუ ავტოსთან გამოეყვანა.

იანგუმ ცხადად დაინახა ყველაფერი. ახლა კი აქვითინდა ბიჭიკო.

— გენაცვალე, მამი, ნუ გამყიდი, შენი ქირიმე; ნუ, ნუ გამყიდი! — ეხვეწებოდა დედას ჩახუტებული იანგუ მამას.

მამას თითქოს არ ესმოდა შვილის ვედრება, გაბრუნებული იყო; როცა ის მივიდა, ცოლს იანგუ გამოსტაცა და ავტოსაკენ წაიყვანა.

— ვაიმე, მიშველე, დედა, გენაცვალე, მიშველე!

დედას ამ სიტყვების გაგონებაზე გული წაუვიდა და ძირს დაეცა.

ამ სახარელი სურათის გამო დაჟუღუნულები ქვითინებდნენ.

— რათა, მამი, რა დავაშავე, გენაცვალე, ვაი... მიშველეთ...

მამამ იანგუ ავტოსთან მიიყვანა. მცველებმა გამოსტაცეს იანგუ მამას ხელიდან და ავტოში ძალით ჩაადგეს.

მამამ უკანასკნელად შეხედდა საყვარელ ბავშვს. ვეღარ აიტანა ბავშვის ამდენი ტანჯვა და წამოიძახა:

— არა, მე ჩემ შვილს აღარა ვყიდი, ინებეთ თქვენი ფული უკან! და მამამ ძონძემში გასეუული იაპონური ფულეები გადაუყარა ქარხნის აგენტს.

აგენტმა შუბლი შეიკრა.

— ხელი მოწერილი გაქვს, ბავშვის დაბრუნება აღარ შეიძლება.

— იანგუ, ჩემო შვილო, მოდი, უკანასკნელად ჩაგხუტო!

იანგუ ავტოდან გადმოეყვდა.

მამამ იანგუს ცრემლებით სავსე თვალეები კოცნით ამოუშშრალა. აგენტი ავტოში ჩაჯდა.

ავტო ჯერ ნელა მოსწყდა ადგილს, შემდეგ კი გაქანდა დიდი ქლაქისაკენ.

— ჩემო დაკარგულო შვილო, იანგუ, მშვიდობით!..

იანგუს პასუხი მხოლოდ უნუგემო ტირილი იყო.

იოსებ ლაცაბიძე

## ქ მ რ ა

„რატომ მიაქვს ქორს წიწილა?“ — მიჯაურდება ჩემი ბები. მეც, არ იქნა, ვერ ვუშველე ვერავითარ საშუალებით! პა, გამოჩნდა ცის კიდურზე ბოროტი და მავნე ძერა, წამოვიდა, ობოლ წიწილს ის მგელივით დაეძგრა!

— ნუ, ნუ გვტაცებ, ძერავ, წიწილს. ყოველდღე რომ ბოლოს უღებ, იცოდე, ეს ჩემი თოფი ტვინს საფანტით აგიღუღებს! რამდენი ხართ! ცის კიდურზე დილის სუფთა ჰაერია, დაწყდით, დაწყდით ყველა ერთად, ყველას ქირი დაგვრიათ!

ვალთა კუპრაძე



თუთას დაუსხავს კვირტები,  
ჩქარა ფოთლებსაც გაშლის,  
აღულნა აყვავებულა,  
აკოკრებულა ვაშლი!  
ატმის ყვავილის მტევნები  
გადმოკიდულან ქინდრად,  
ბაიას ოქროს თვალეები  
ამოუქარგავს მინდვრად.  
იებს გულეები ნაზამთრი  
გადაუშლიათ შვებით,

ენძელა კენტად ნაზარდი  
მზეზე კეკლუცობს ქებით!  
რამდენი გაზაფხულია,  
რამდენ ასეულ წლების...  
ახლა სხვა სიხარულია, —  
ცხოვრების განახლების!  
მზე დაკაშკაშებს გარემოს,  
ღამით უღიმის მთვარე,  
ვიშ, რა კარგი ხარ, სოფელო —  
მიწის დოვლათის მხარვე!

მიმქრალი

## კ ა ხ მ თ ი ს ლ ა მ ე

აგერ მთვარე ამოვიდა,  
გადმოხედა ქოხებს,  
მოაშორა ბინდი-ბუნდი  
მწვანე მინდვრის ნოხებს.

ღამე არის მშვენიერი,  
ღამე საამური!  
და ღიღინებს სოფლის გარეთ  
მწყემსი სალამურით.

ქარი დგება, ბელექნიდან  
მოყეფს ალაზანი,  
მოღის, მოღის, მობუტბუტებს  
ელდარისკენ მგზავრი.

ხანდახან კი გაბრაზებით  
დაუბერავს ქარი,  
წინ გაუვლის მთვარეს ზანტად  
შავი ღრუბლის ჯარი...

ტყემ ფოთლები შეარხია,  
შეიშმუნა მთები,  
მესმის დაბალ ბუჩქებიდან  
ბულბულეების ხმები.

ღამე არის ისევ წყნარი,  
ისევ მშვენიერი,  
მთვარე ისევ წინ მიცურავს,  
მთვარე ნებიერი...

ვახტანგ პეტრიაშვილი



როცა უბნის ბიჭები დაიშალნენ, გოგი შინ წამოვიდა.

ლამდებოდა. ქუჩებში ტრიალებდა აკაციების სურნალებსა, ისმოდა საბარგულების რახრახი, და ვატმანიც გულისგამაწვრილებელი ზარის ხმით აფრთხილებდა ვიდაც მოქალაქეს.

გოგიმ ოთახში კარები შეაღო. დედამ ცხელი უთო სკამზე დადო და ნელი, ოღნავ გასაგონი ხმით უთხრა:

— რატომ დაავიანე?! ახლა მამაშენს ვახშამი უნდა წაუღო! მაშინ გოგიმ ქამარი შემოირტყა, სარკესთან მაშისეული გამოხუნებული, რკინისგზელის მომწვანო ქუდი დაიხურა, კალათი აიღო და ქუჩაში გავიდა.

სადგურთან რომ მიადგინა, იქ იყო ორთქლმავლების დაუსრულებელი სტვენა და შიშინი.

გოგი ფრთხილად მიაბიჯებდა ვახვა თილ ლიანდაგებს შორის. როცა გვერდი აუარა ქვევით მდგარ ცისტერნების მოგროძო შემადგენლობას, საყარაულო ქობის წინ უკანასკნელმა სამგზავრო ვაგონმა ჩაიარა რიხინით.

მამამ მწვანე სანიშნო ფანარი ქობში შეიტანა, გოგის კალათა ჩამოართვა, მაგიდაზე დადო და უთხრა:

— გოგი, ჩემ მოსელამდის! ღამიცადე, მე მალე მოვალ. თუ ვინმე მოვიდეს, სადგურის მორიგესთან ვიქნები...

წითელ-მწვანე ალამის ხვეულები ჩექმაში ჩაირქო და ქობიდან გავიდა.

სადგურთან მგზავრები ირეოდნენ ჩემოდნებით ხელობარაგებით, კალათებით. მესამე ლიანდაგზე ორთქლმავალი ჭირვეულად შიშინებდა. მთავარ სახელოსნოდან ისმოდა განუწყვეტელი კაკუნი.

გოგის ქობში მოსწყინდა, გარეთ გამოვიდა და სადარაჯოს სკამზე ჩამოჯდა...

სადგურის მხრივ შუქურების ქათქათა სინათლეზე გარკვევით ჩანდა პრიალა ლიანდაგები და მათ შორის შავი მახუთით გაყდნითილი მიწა. სადარაჯოს

ხელმარჯვნივ დაყუდებული მთებისკენ სიბნელე იყო და ნიშანსვეტზე მოჩანდა ღამეში წითელი შუქი.

გოგი უდარდელად უსტვენდა. არეული ხმები, ორთქლმავლების ჭირვეული კივილი, სახელოსნოდან გაურკვეველი და მუდამ ერთნაირი კაკუნი, მგზავრული სიჩქარე და ათასი რამ გოგისთვის ნაცხოზი იყო.

არ გასულა სულ ოციოდე წუთი, რომ ჯდომა მოსწყინდა და ლიანდაგზე ცალფეხზე ტომა დაიწყო. უეცრად სადგურთან ორთქლმავლის ძლიერმა შეკვივლე-




ბამ შეაკროთო. მაშინ მოისმა ტელეფონის წკრიალიც. ქობში შეირობინა, ყურთმილი ხელში აიღო და ბოხი ვაჟკაცური ხმით ჩასძახა:

— გისმენთ!..

და შემდეგ ხელი უფრო მოუჭირა ყურმილს და შეკრთა.

— ა... ა? არ ისმის! ორთქლმავალი ვერ დამუხრუტეს... გამოკტეულია? ჩინში გაუშვათ.. ა... როგორ? მთლიანად აკან-



კალდა, ძილი ჩამოკიდა, გარეთ გამოვარდა, სადგურის მიმართულებით დაიწყო ცქერა და ძახილი:

— მამა! მამააა!

არავინ არ პასუხობდა. ორთქლმავალის შიშინში გოგის ხმა იკარგებოდა, მაშინ გადაწყვიტა სადგურზე მიერბინა, რომ შეეტყობინებია ეს ამბავი, გამოქცეული მატარებელი ჩიხში გაეშვათ, მალლობაე, და დამსხვრევას ასდებოდა. შემოტრიალდა, სადარაჯოს კარი მიხურა და აქცევა დააპირა, რომ უეცრივ შენიშნა ნიშანსვეტისკენ სამი ფანარი. უკვე გვიან იყო: სადგურზე მისვლას ვერ მოასწრებდა. აირია, არ იცოდა რა ექნა... გამოქცეული ორთქლმავალის განწირული კივილიც მოისმა... სამი თვალი უფრო გაიზარდა ღამეში.

უეცრად მოაგონდა ჩიხის მიმართულების მიმცემი საისრე, რომელიც საგუშავოს მახლობლად იყო, მოაგონდა, მაშინ ორი წლის უკან ოცდათორმეტი ცისტერნით შემდგარი მატარებელი რომ გადაარჩინა დამსხვრევას...

გაიქცა ნიშანსვეტისკენ. როცა ლიანდაგზე გადახტა საისრეს მხარეზე, უეცრად დაეცა, ხელზე სისოვლე იგრძნო და მაშინ წარმოუდგა სიკვდილი და დამსხ-

ვრეული, ხაფოტებად ქცეული მატარებელი.

ტკივილი არ უგრძენია, წამოხტა, ლიანდაგს გადაალოჯა და საისრეს სიშიმშიე თავისკენ მოსწია...

... მატარებელი მოვარდა გრვეინვით, ბორბლები ნაპერწყლებს აჩენდნენ... ყურთა სმენის წამლებმა გრიალმა წაართვა გონება. ქარისაგან მიწაზე დაეცა და ძირს ჩაგორდა შეზვიანულ ხრეშის გორაკიდან. როცა შემდეგ ყველაფერი მიწყდა, წუთით სინამდვილე ჩამოვარდა. გონს მოვიდა. იდაყვზე სისოვლე და ტკივილი იგრძნო, ადგა, ლიანდაგზე აფორთხდა და თავისი თვალით დაინახა გორაკის ჩიხზე მბოლავი, მოშიშინე ორთქლმავალი და ცისტერნები.

გული სისუსტისგან შეუღონდა...

მეორე დღეს გაზეთებში იყო ცნობა მატარებლის გადაარჩენის შესახებ, ქვევით კი ეხატა პატარა ბიჭი. სურათს ჰქონდა მონაწერი: „გმირი ბავშვი გოგია გენძეხაძე, რომელმაც დამსხვრევას გადაარჩინა მატარებელი № 52.

დავ. შამათავა.



ჩვენი გემი ამ საღამოს გადის. ირგვლივ ფუსფუსია. აი, გემზე ამოაქვთ რკინის გალიები. რა უცნაური გალიებია: დაბალი, გრძელი, ფართო! მოვიდნენ ამ გალიების პატრონებიც. მათ აქვთ ჩემოდნები, ფოტოაპარატები. ერთი მათგანი ისე გარბიან, რომ ცხენიც ვერ დაეწევა

მათ. აიყალყებიან და მოუსვამენ. როდესაც გარბიან, პირს დააღებენ ხოლმე და წითელ ენას გადმოაგდებენ, რომ უფრო ადვილად ისუნთქონ.

— ერიპა! ეს რა საშინელი რამეები ყოფილან!



სათვალეებიანია. საღამოს გავედით ზღვაში.

ცხელ ქვეყნებში მიდიოდა ჩვენი გემი. ერთხელ გამოველაპარაკე სათვალეებიან მგზავრს. ის ნატურალისტია — ცხოველების შემსწავლელია. მან მითხრა — ჩვენი გემი კუნძულ ბორნეოსთან გაჩერდებაო. ნატურალისტები ამ კუნძულზე დაიჭერენ ვარანებსო.

კუნძულ ბორნეოსთან იღვა ჩვენი გემი. ნატურალისტებმა ვეტხოვეს — დაგვეხმარეთ ვარანების დაჭერაშიო. კუნძულზე არის მთა, სადაც ბლომადაა ვარანების სოროები. ამ მთის ირგვლივ დაეგეთ მახეები, მახეებში კი დამარილებული ხორცი ჩავდევით. ნატურალისტებმა იცოდნენ, რომ ახალი ხორცი იყო საჭირო, მაგრამ, რომ არ გვექონდა აბა რას ვისამდიოთ. ყოველდღე მიდიოდნენ მატროსები და ნატურალისტები მახეების დასათვლიერებლად, მაგრამ არც ერთი ვარანი არ გაბმულიყო. მახეები დასხლექილი იყო და იქვე ყვარა ფრინველის ბუმბული და ფეხები. ვერავინ ვერ გაიგო, რა უნდოდა აქ ბუმბულს.

— რა არის ვარანი? — ვკითხე მას.  
— ვარანი ძალიან დიდი ხელოკია. ზოგი მათგანი სიგრძით ორი მეტრია.

— უპ! ეს რამხელა რა ყოფილა! — წამოვიძახე გაცეცხულმა.

— საბჭოთა კავშირშიც არის ვარანი — ყარა-ყუმის უღანოში, — მითხრა მან. — მაგრამ ნატურალისტებს ზოოლოგიურ ბალისათვის უნდათ ბოჩნეოს, ვარანები, ვინაიდან ისინი სულ სხვანაირები არიან.

მეთერთმეტე დღეს წავედით მახეებით მე და მატროსი კარტაშოვი. ის უთოფოდ წამოვიდა: თოფი რათ მინდა, ვარანები მაინც არსად ჩანსო. ცხელოდა. ვიბანეთ, შემდეგ კი შევუდექით მახეების დათვლიერებას. ის მარჯვნივ წავიდა, მე — მარცხნივ.

— რით იკვებება ვარანი? — შევეკითხე ჩემს თანამგზავრს.

— ფრინველებითა და პატარა ცხოველებით. ვარანი ძალიან ღონიერია: კული რომ დაჰკრას ადამიანს ხელზე — ხელი გადატყდება. კაცის შექმაც შეუძლიათ ვარანებს. ახლა სირბილს არ იკითხავთ?

ბევრ ადგილას იყო კვალი — თითქოს თოკი უთრევიათ სილაზე, აქეთ — იქით



ქი ჯოხი უჩუჩხურებიათო. ეს იყო ვარა-  
ის კვალი.

ბევრი მახე დავათვალიერე, მაგრამ  
რსად არ ვაბმულიყო ვარანი.

უეცრად ჩემ თვალწინ ჩავარდა მახეში  
პავი რაღაც. მახე დასხლტა: მიმინოს  
უნდოდა ხორცის წაღება, მახეში კი გა-  
ეხა. უცებ გამოვარდა სოროდან ვარანი,  
ქა მიმინოს და გაბღღვნა, შექამა და  
ასვე სოროში შექმრა. ვავიქეცი კარტა-  
მოვის სამებნელად.

კარტაშოვი ბუჩქის იქით იყო. მან და-  
ჩინახა და მანიშნა ნუ ხმაურობო, თანაც  
პარცხნივ მითითებდა. გავიხედე და და-  
ვინახე, ვარანი, რომელიც მზეზე თებეო-  
და. გამოვუბინე თოფი, დავაცემინე ჩა-  
მახი, მაგრამ არ გავარდა: გატენა დამვი-  
წყებოდა. ვარანს გამოვღვიძა და ასისინ-  
და, კარტაშოვი ნავისკენ გაიქცა: იქ იყო  
თოფი და მისი მოტანა უნდოდა. ვარანი  
წამოხტა, აიყალყა და დაეღვენა. მეც  
ვავიქეცი, რომ მივშველებოდი. კარტა-  
შოვს მალე დაეწია ვარანი. ამ დროს  
მობრუნდა კარტაშოვი და კისერში წა-  
ავლო ხელი. ვარანმა ხროტინი დაიწყო,  
მოიქნია კული და ფეხზე მოარტყა. კარ-  
ტაშოვი წატორტმანდა. ამ დროს მი-

ვუსწარი და თოფის კონდახი თავში დავ-  
კარი ვარანს. მან თვალეზი დახუჭა. მე-  
ორედაც დავარტყი და მოვკალი.

— გმადლობთ, გმადლობთ! — მეუბნე-  
ბოდა ფერწასული კარტაშოვი. მან შარ-  
ვალი აიწია, რომ მოეფხანა ვარანისაგან  
ნატკენი ადგილი. ჭეხი გალურჯებული  
იყო იმ ადგილას, სადაც კული მოარტყა.  
კოჭლობით მივიდა კარტაშოვი ნავამ-  
დის, ჩავსხედით და გემისკენ წავედით.

გემზე ვუამბეთ ნატურალისტებს ვარან-  
ზე თავდასხმის შესახებ. მათ გაუკვირდით  
და დიდხანს კამათობდნენ რაღაცაზე. ბო-  
ლოს ადგენ და ნაპირზე წავიდნენ კვალის  
დასათვალიერებლად. დააკვირდნენ კვალს  
და მერე გვითხრეს:

— კარტაშოვი ვარანის სოროსკენ  
ვარბოდა. ვარანმა ალბათ იფიქრა — ჩემს  
სოროში არ მიშვებენო, და კარტაშოვს  
დაეღვენა.

ნატურალისტებმა გვთხოვეს ახალი  
ხორცი ჩადვეით მახეებშიო. ჩვენ დავ-  
ხოკეთ თოფიები და მახეებში ჩავაწყეთ.  
საღამოს რომ მივედით, თორმეტი ვარანი  
გაბმულიყო. გალიებში მოვათავსეთ  
ისინი.

ნ. ბიკოვიდან თარგმნილი შ. თ.-ლის მიერ